საფინანსო- საბიუჯეტო კომისიის

სხდომა ოქმი N 02

დ. ლენტეხი

25.02. 2025 წ.

მ/წ 25 თებერვალს 12 საათზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: კომისიის თავმჯდომარე ლამზირა გუგავა, კომისიის წევრები - დათი პირველი, მარეხი ონიანი, ირაკლი ქურასბედიანი, მოწვეული სტუმარი - ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი ტახუ ჩანქსელიანი.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომის წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

ლენტეხის მუნიციპალიტეტის ა(ა)ი. პირების 2024 წლის გეგმა -პროგრამებში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხ. ლ. გუგავა/

დღის წესრიგთან დაკავშირებით, კომისიის წევრებს რაიმე შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

მომხსენებელმა - ლამზირა გუგავამ განმარტა, რომ 2024 წლის ბოლოს ფორსმაჟორული სიტუაციის გამო ვერ მოხერხდა 2024 წლის გეგმა-პროგრამების დაზუსტება, კერძოდ კი ცვლილებების შეტანა. აქედან გამომდინარე მეტი დეტალიზაციისთვის დაევალათ აიპიების ხელმძღვანელებს განმარტებითი ბარათების წარმოდგენა, სადაც სრულყოფილად იქნებოდა ასახული 2024 წლის განმავლობაში შესაბამის აიპში განხოციელებული ცვლილებები. აიპიების ხელმძღვანელებმა წარმოადგინეს განმარტებითი ბარათები.

კომისიის წევრები გაეცნენ თითოეული ა.(ა). ი პირის გეგმა-პროგრამას და შესაბამის განმარტებით ბარათს. გაკეთდა შედარებები, შედარების შედეგად აღმოჩნდა, რომ ა.(ა)ი. პირების მიერ წარმოდგენილი გეგმა-პროგრამები შესაბამისობაში იყო დამტკიცებულ ბიუჯეტებთან.